

ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები

- ▶ არეგულირეთ კენჭისყრის შენობაში შემომსვლელ ამომრჩეველთა ნაკადი.

ყურადღება!

ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, უზრუნველყავით ამომრჩეველთა შორის უსაფრთხო დისტანციის დაცვა (ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში).

- ▶ სთხოვეთ ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და დროებით მოიხსნას პირბადე.

ყურადღება!

- ✓ თუ ამომრჩეველს არ აღმოაჩნდება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, აუხსენით მას, რომ იგი ვერ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას.
- ✓ თუ ამომრჩეველი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის წარდგენის დროს დროებით არ იხსნის პირბადეს, იგი არ დაიშვება კენჭისყრის შენობაში.
- ▶ ულტრაიისფერი ფარნით შეამოწმეთ, აქვს თუ არა ამომრჩეველს მარკირება, და მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ამომრჩეველს მარკირება არ აქვს, მიეცით მას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

ყურადღება!

- ✓ თუ ულტრაიისფერი ფარნით მარკირების შემონმებისას გამოვლინდება, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა. ამომრჩეველის ვინაობა აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს.
- ✓ ამომრჩეველი, რომელიც, „ფიზიკური მდგომარეობის“, კერძოდ ზედა კიდურების არქონის გამო, ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას, არ გადის მარკირების შემონმების პროცედურას.
- ▶ თვალყური ადევნეთ, რამდენი ამომრჩეველი დგას ამომრჩეველისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან. თუ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორი ამომრჩეველი დგას, დროებით შეაყოვნეთ კენჭისყრის შენობაში მორიგი ამომრჩეველის შესვლა.
- ▶ მიუთითეთ ამომრჩეველს, მივიდეს იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო და ამომრჩეველის ნომერი ამომრჩეველთა სიაში.

ბაითვალისწინეთ!

- ✓ ახალი კორონავირუსით გამონვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, ამომრჩეველი და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე სხვა პირი კენჭისყრის შენობაში არ დაიშვება პირბადის და სადებინფექციო ხსნარით ხელების დამუშავების გარეშე.
- ✓ ახალი კორონავირუსით გამონვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, კენჭისყრის შენობაში არ დაიშვება კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირი თერმოსკრინინგის (ტემპერატურის შემონმების) გარეშე. ცხელების – 37°C ან 37°C-ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება ტემპერატურის გადამონმებას (5-ნუთიან შუალედში). განმეორებით ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში პირი არ დაიშვება კენჭისყრის შენობაში. ცხელების დაფიქსირების შემთხვევის შესახებ ინფორმაცია უნდა მიენოდოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- ✓ ამომრჩეველთა თერმოსკრინინგი არ ხორციელდება.
- ✓ კენჭისყრის შენობის გასასვლელში ამომრჩეველისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სადებინფექციო სითხით ხელების დამუშავების შესაძლებლობა.